სამშობლო

პარასკევი
8 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მან, თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიიღება განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. დირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

№ 257 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 257

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურად 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

5 იანვარს, დილის 4 საათზე ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მისი: სოფიო პეტრეს ასული მარსტრაძისა, ემილია პეტრეს ასული არაზოვისა, ლეონ, ვასილი, და ზაქარია პეტრეს ძენი კოკოჩაშვილები და ქვრივი მისი შვილის ივანესი—მარიამ მიხეილის ასული კოკოჩაშვილისა ოჯახობით.

მიცვალებულს გამოასვენებენ, პარასკევს, 8 იანვარს, დილის 9½ საათზე, საკუთარ სახლიდან, (აფთიაქის ქუჩა) კათოლიკეთა ეკლესიაში, ხოლო იქიდან წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე.

4 იანვარს, ნაშუაღამევს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

იაკობ ივანეს ძე გოკიელოვი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს შვილები მისი: ანნა იაკობის ასული დემუროვისა, როზალია იაკობის ასული ბერიძისა, ივანე, სიმონი, ალექსანდრე, ფრანჩისკე და სტეფანე იაკობის ძენი გოკიელოვები, რძლები, სიძე: ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე და შვილიშვილები.

მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 9 იანვარს, დილის 9½ საათზე, საკუთარი სახლიდან (პუშკინის ქუჩა № 10) კათოლიკების ეკლესიაში. დასაფლავება მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე, პანაშვიდები ყოველდღე 7—8, საღამოს 6 საათზე. 2—1—7156

ქვრივი მარიამ დიმიტრის ასული მავშელით, მშობლები **ტარასი გრიგოლის ძე** და **კესარია თომას ასული ახვლედიანები** და და **ოსანა ტარასის ასული** კნეინა **ჩიქოვანისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 16 იანვარს, 1916 წელს, სოფელს ნასპერში, ლეჩხუმის მაზრისა, წლის დღეს გარდახდილ იქნება ეკლესიაში წირვა და სასაფლაოზე პანაშვიდი სულის მოსახსენებლად ბრძოლის ველზე სოფიანოს ქვეშ მოკლულის მათთვის ძვირფასის პოდპოლკოვნიკის მე 6 კავკასიის მსროლელთა პოლკის

ვლადიმერ ტარასის ძის ახვლედიანისა.

1—1—7154

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

ადათ მოსალაპარაკებლად ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე**

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

ხუთშაბათს 7 იანვარს, 1916 წ. საუცხოვო მხატვრული პროგრამა:

მამები და შვილები

კინოილუსტრაცია ი. ს. ტურგენევის რომანისა, ქართული დრამატიული დასის ცნობილი მსახიობის **ვლ. ხ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამაში.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ხუთშაბათიდან 7 იანვრიდან ნაჩვენები იქნება

საშკა სემინარიელი

მეოთხე სერია (რუსი როკამბოლი). ნაწილი 1. ციმბირიდან გამოქცევა. 2—პასპორტის ძიება. 3—მე ვარ ავერა უმაღლესი მარკისა. 4—მაძებარი პოლიციის ხელში.

გაზეთ **„შრომის“** თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.

„სხივი“

კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.

მონაწილეობენ: **მიხ. ბოჭორიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მიწიშვილი, გ. მუშლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.

აგრეთვე მოთავსებული იქნება **ბიგა ჯუღელის** დაუბეჭდავი წერილები.

ფასი კრებულისა სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.

მისამართი: ქუთაისი, ობორინის ქუჩა, ნაფიცი ვექილი ივანე პავლეს ძე გობეჩია.

წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს. გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი **სახლი.** თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი [illegible] ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი **რ. პ. ხვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ექიმი **ვ. დ. ნასარიძე** შინაგანი ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ცხაობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქერტლს ახალი, გამოცდილი წამლის საშუალებით. ქერტლის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, [illegible] თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ემსახურება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 5 იანვარი. დასავლეთის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ასპარეზი.

3 იანვარის ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 24 ოფიცერი და 200 მეტი ჯარისკაცი ოსმალოებისა. ვიხელთეთ 1 ზარბაზანი, ბევრი თოფი საარტილერიო მასალა, პურის საცხობი, და დიდძალი სუხარი და ფქვილი.

პეტროგრადი. 6 იანვარი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგა-დვინსკის ფრონტზე გერმანელების მფრინავები დაფრინავდნენ. ერთ ერთი პაეროპლანი მტრის გამოჩნდა მდ. აას შუა მიმდინარეობის რაიონში, სკეტელიასთან, (ფრიდრიხშტადტის დასავლეთით) და დვინსკის თავზე, სადაც გერმანელებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარეს. გერმანელები შეეცადნენ მდ. დვინის ნაპირთან მოახლოებას, მაგრამ უკუვაქციეთ ცეცხლით. ფრიდრიხშტადტის სამხრეთ აღმოსავლეთით, სემენის მახლობლად გერმანელებმა სულის შემხუთავი გაზი იხმარეს ჩვენს წინააღმდეგ. დვინსკის პოზიციებზე საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა ჩენეფედის რაიონში, სადაც გერმანელებმა ორჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ ორივეჯერ ჩვენ ცეცხლით მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი

ჩვენმა მედგარმა და მოულოდნელმა შეტევამ ოსმალთა ჯარის ცენტრი უკუაქცია წინასწარ გამაგრებულ პოზიციებიდან ტორტუმის ტბისა და მდ. შარიანისუის შუა მდებარე რაიონში ე. ი. ასი ვერსის მანძილზე და დაიხია არზრუმის მიმართულებით. ალაგ ალაგ მტრის უკან დახევა უწესრიგოთ ხდებოდა. ზოგიერთ ნაწილი მტრის ჯარისა სრულიად განადგურებულ იქნა. ჩვენ ჯარს ზოგიერთ ალაგს უხდებათ იერიშის მიტანა თოვლში გაკეთებულ თხრილებზე ძლიერი ქარბუქის დროს. ჩვენ დავიკავეთ სოფელი კეპრიკე მდ. არაქსზე არზრუმიდან აღმოსავლეთით 50 ვერსის მანძილზე. 4 იანვრის ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 6 ოფიცერი, 208 ჯარისკაცი, ვიხელთეთ ბევრი სამხედრო დავლა.

მდ. შარიან-სუს რაიონში, სოფელ ტურგელში ხელში ჩავიგდეთ ოსმალთა იარაღის საწყობი.

სპარსეთში, ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთ წვერებიდან შეტაკება მოხდა ქურთებთან, რომელნიც სამხრეთისაკენ უკუვაქციეთ.

15

დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 5 იანვარი. დღის ოფიციალური ცნობა. ღამის განმავლობაში მხოლოდ საარტილერიო სროლა იყო. საზოგადოთ შესამჩნევი არა მომხდარა რა.

რომი. 5 იანვ. მთავარი ბანაკის ცნობა. ტრენტინოს საზღვრის გასწვრივ საარტილერიო მოქმედება რამოდენიმეთ შესუსტდა. ჩვენ ცეცხლი დავუშინეთ სიპიმლის ფორტს ზეპბახის ველში, სადაც ნაწილი სიმაგრეებისა დავანგრიეთ და უკუვაქციეთ მტრის რაზმები. ოსლავიის გარშემო მდებარე მაღლობებზე ჩვენ ენერგიული იერიშები ვაწარმოეთ თხრილების უკანასკნელი ნაწილის ხელში ჩასაგდებათ, რომელიც მტრის ხელში იყო. ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ ტყვეები. მტკიცდება, რომ უკანასკნელ ბრძოლებში მტრის მრავალრიცხოვანი ძალა ღებულობდა მონაწილეობას, მიუხედავათ ამისა, მან დიდი ზარალი ნახა. კარსოსთან მდგომარეობა უცვლელია. მტრის მფრინავებმა რამდენსამე სოფელში ყუმბარები ჩამოყარეს.

ლონდონი. 5 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. საფრანგეთიდან იმის შემდეგ, რაც გერმანელებმა ღამით ქივანშში ყუმბარები ჩამოყარეს, ჩვენ ხელით სასროლ ყუმბარებისა და ,სასანგრო ზარბაზნების დახმარებით იერიში მივიტანეთ მტერზე და წარმატებითი შედეგიც გვქონდა. მარჯვეთ დავუშინეთ ყუმბარები იმ ადგილს, რომელიც იპრის ჩრდილოეთით მდებარეობს, სადაც ყუმბარებმა ცეცხლი გამოიწვიეს.

პარიზი. 5 იანვარი. ღამის ოფიციალური ცნობა. ვესტენდესა და მიდელკერკეს შუა ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მტრის შეჯგუფულ ჯარსა დიდი ზარალი მიაყენა. მტრის ორ ჰაეროპლანს რომელნიც დიუნკერკეს მიმართულებით დაფრინავდენ, ჩვენმა ზარბაზნებმა სროლა აუტეხა და იძულებული გახადა უკან გაბრუნებულიყვნენ, თუმცა ოთხი ყუმბარის ჩამოგდება მაინც მოასწრეს. სომთან მდებარე მიდამოში, გერბეკურთან გერმანელების თხრილებს სროლა აუტეხეთ. ენის ჩრდილოეთით ჩვენმა ბატარეამ საკმაოთ დააზიანა მტრის საველე სიმაგრეები ვოკლერის სიმაღლეებზე კელერის ფერმის „რაიონში მდ. მარჯვენა ნაპირის აღმოსავლეთით ჩვენმა შორს მტყორცნელმა ზარბაზნებმა მტრის იარაღის საწყობებს ყუმბარები დაუშინა.

ჰავრი. 4 იანვარი. ბელგიის ცნობა. საარტილერიო ბრძოლა 4 იანვარს ძლიერი იყო. ჩვენის ცეცხლით განადგურებულ იქნა მტრის საველე სიმაგრეები ვოლუმენოპოზელეს მიმართულებით.

პარიზი. 5 იანვარი. საღამოს ოფიც. ცნობა. უაზსა და ენს შუა ჩვენმა ბატარეამ გერმანელების თხრილები დაანგრია. შამპანში ჩვენი არტილერია მარჯვეთ მოქმედებდა სხვა და სხვა პუნქტზე. ვოგეზებში, მეტცერალის ახლოს მტრის ერთ ერთი ბატარეა ჩვენმა არტილერიამ სერიოზულათ დააზიანა. დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა, მხოლოდ სწარმოებდა ჩვეულებრივი საარტილერიო სროლა.

ჰავრი. 5 იანვარი. ბელგიის ცნობა. დღეს არტილერიამ დიდი აქტივობა გამოიჩინა. ჩვენ ყუმბარები დავუშინეთ დიქსმიუდეს.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

დაპყრობილ ადგილებში

გარეშე საქმეთა სამინისტროს მეორე დეპარტამენტი აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობა რუსეთის ადგილებში, რომლებიც ახლა მას უჭირავს, ნებას არ აძლევს მცხოვრებთ, რომ რუსეთიდან წერილები მიიღონ. ამიტომ რუსეთის მთავრობა იძულებულია იქ გაგზავნილი კორესპონდენცია—ბარათები უკანვე დააბრუნოს პეტროგრადის მთავარ ფოსტაში, საიდანაც წერილებს კანონისამებრ გამგზავნელთ დაუბრუნებენ.

ინგლისის მუშათა პარტია სამხედრო ბეგრის შესახებ.

30 დეკემბერს ინგლისის მთავარ მინისტრმა ასკვიტმა ინახულა მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც სამხედრო ბეგარის კანონში რამდენიმე შესწორების შეტანას მოითხოვდენ. მუშები უმთავრესად საჭიროდ ცნობენ გაუქმდეს კანონის ის მუხლი, რომელიც „საპელაციო სასამართლოებს" კანტროლის უფლებას ანიჭებს მუშათა ორგანიზაციებზე სამხედრო ბეგარის მიერ გამოწვეულ საკითხებში. მთავარ მინისტრმა ამ თათბირით ვერა გააწყო რა და კითხვა მუშათა პარტიის მომავალ კონგრესის გადაწყვეტილებამდე გადაუჭრელი დარჩება. კონგრესი უნდა მოხდეს იანვრის შუა რიცხვებში მანამდე კი მუშათა პარტიის წარმომადგენელი მინისტრები მთავრობის კაბინეტში ისევ თავის ადგილზე დარჩებიან.

სერბია იმედს არ კარგავს.

სალონიკიდან იუწყებიან, რომ იქ სერბიული ახალი გაზეთის, „ტრიბუნის" გამოცემა დაიწყეს, რომელიც წინათ ბელგრადში გამოდიოდა. სერბიის განახლებული გაზეთი თავის მეთაურში სერბიის ხალხს ამხნევებს და იმედს უნერგავს, რომ ომის შემდეგ სერბიისათვის კვლავ ბრწყინვალე დრო დადგება და მთელი ის უბედურება, რომელიც სერბიას თავს დაატყდა, სულ ერთიანათ გაჰქრება და მისი ტერიტორია წინანდელთან შედარებით დიდათ გაიზრდება.

ქრონიკა

რუსეთი.

ახალი განკარგულება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს და გრადონაჩალნიკებს ფიცხელი ცირკულიარი დაუგზავნა, რომლითაც ის მათ ავალებს, რომ მათდამი მინდობილ ადგილებში ქვეყნის დამღუპველ სპეკულიაციას დიდი ყურადღება მიაქციონ და დამნაშავეები ყოველივე ზომით ალაგმონ. ამ მიზნით მიმართონ ქალაქის და ერობის თვითმართველობებს და ამ საქმეში ისინიც ჩააბან; საერთო სამოქალაქო პოლიციას და ჟანდარმერიას წინადადება მისცენ, რომ სპეკულიანტებს თვალყური ადევნონ და მათ წინააღმდეგ საჭირო დროზე შესაფერი ზომები დაუყონებლივ მიიღონ.

მინისტრის მოგზაურობა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი 3 იანვრიდან რუსეთის სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობას დაიწყებს 9 იანვრისთვის კი ისევ პეტროგრადში დაბრუნდება.

3 იანვარს დაჭერილები.

ჟანდარმერიის განკარგულებით პეტროგრადში ერთ ბინაზე რამდენიმე ათეული კაცი დაიჭირეს. ჯერ კიდევ დაწვრილებით არაა გაზეთებში გამოქვეყნებული, თუ რამდენი კაცია დატყვევებული და რას აბრალებენ მათ. გამოცხადებულია მხოლოდ, რომ დაჭერილთა შორის ისეთი ცნობილი პირებია, როგორც არიან: ვოდოვოზოვი, მიაკოტინი, ბრამსონი და გიზეტი. დატყვევებულთ ბრალს დებენ 102 მუხ. ძალით. საქმე გამოსაძიებლათ გადაცემულია პეტროგრადის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოს ხელში. მინისტრის თანაშემწის, ბელეცკის განკარგულებით ჯერჯერობით გამოუშვეს ციხიდან ვოდოვოზოვი და ბრამსონი, რომელთაც ხელწერილი ჩამოართვეს, რომ პეტროგრადიდან საქმის გარჩევამდე არსად არ წავლენ. სახელ. დუმის მემარცხენეთა ჯგუფს გადაუწყვეტია, რომ ინახულოს ბელეცკი, რომელსაც უნდა სთხოვონ რომ ავადმყოფობის მიზეზით მიაკოტინიც გაანთავისუფლოს საქმის გარჩევამდე, რადგან ის დაჭერამდე რამდენიმე თვით ავად ყოფილა.

მოწოდება.

უმაღლესათ დამტკიცებულმა საგანგებო კომისიამ, რომელიც იძიებს ავსტრო-უნგრეთისა და გერმანეთის ჯარის მიერ დარღვეულ კანონებსა და ომის ჩვეულებებს, რომელ კომისიამაც უკვე 9 აპრილიდან 1915 წლისა დაიწყო თავისი მოქმედება, ამ ჟამათ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კეთილის სურვილით გააფართოვა თავისი გამოძიების საზღვრები და იძიებს ოსმალეთისა და ბულგარეთის ჯარების მიერ დარღვეულ კანონებსა და ომის ჩვეულებებს რუსეთის ჯარისა და ქვეშევრდომების მიმართ.

საგანგებო გამომძიებელი კომისია უღრმეს მადლობას უძღვნის საზოგადოებებს, დაწესებულებებს და პრესას, რომელნიც კომისიის 9 თვის მოქმედების განმავლობაში აცნობებდენ მას ავსტრო-უნგრელებისა და გერმანელების მიერ ჩადენილ სიმხეცეს ჩვენი ჯარისადმი, ძალმომრეობას ტყვეებისა და მშვიდობიან მცხოვრებლებისადმი, მათი ქონების დატაცებისა და უმიზნოთ განადგურებისა ბოროტმოქმედების შესახებ, რომელსაც ისინი სჩადიოდენ თეთრი დროშებისა და წითელი ჯვრის საზოგადოების ქონებათა მიმართ და მით ხელი შეუწყვეს კომისიას პირნათლად შეესრულებინა უმაღლესათ დასახული მიზანი.

საგანგებო გამომძიებელი კომისია დარწმუნებულია, რომ მომავალში ესევე დაწესებულებანი, პრესა, მოხელენი და კერძო პირები კვლავ ხელს შეუწყობენ კომისიას ცნობების მიწვდით და ამით გაუადვილებენ მას ხელმწიფისა და სამშობლოს წინაშე უდიდეს სამსახურს. ყოველგვარი ცნობა განურჩევლათ ფორმისა, რომელიც შეეხება ზემოთ დასახელებულ კანონებისა და ომის ჩვეულებათა დარღვევას ბულგარეთისა და ოსმალეთის ჯარის მიერ, უნდა მიაწოდონ უმართებულესი სენატის შენობაში, სადაც კომისია აწარმოებს გამოძიების საქმეებს. საქმე დღით დილის 11 საათ. 4 საათამდი, ხოლო უქმეებში ნაშუადღევის 2—3 საათამდი. კომისიის მუზეუმი ღიაა, გარდა ოთხშაბათისა, 2—3 საათამდი.

კომისიის თავჯდომარე
სენატორი ალექსი კრივცოვი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მოვაგონებთ მკითხ[illegible] იანვარს საზოგადო[illegible]ში გაიმართება სტუდენტთა ტრადი ლი საღამო.

◆ 5 იანვარს ებრაელმა იაკობ გ აშვილმა წყალწითელაზე თავი დაი მიზეზი გამოურკვეველია.

◆ ქალაქის თეატრში 6 იანვარ რმოადგინეს შექსპირის ტრაგედია „ ლირი" წარმოდგენამ კარგად ჩაიარა რმოადგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო

◆ დღეს ქალაქის თეატრში და ბულ ფასებში წარმოადგენენ „ბედის ალს".

◆ გუშინ შესდგა შავი ქვის საზ მორიგი კრება. კრებამ განიხილა მ ლი საყურადღებო საკითხი.

◆ ქალაქის სანიტარულმა ექიმმა დუნაშვილმა და ქალაქის სანიტარმა ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა შემდეგ პი ვორონცოვის ქუჩაზე,—ერასტი აბელ ანს, მოსე გუგავას, ალექსანდრე ხოვს; და აფთიაქის ქუჩაზე, ლე პეტრიაშვილს, მელიტონ ჩაჩხიანს სხვებს.

◆ ქუთაისის კოოპერატიული ფ აცხადებს, რომ დღეიდან მესამე ხ ხის პური ნაცვლად 15 კ. გაიყ 16 კ. რადგან ფქვილი ძლიერ გაძვ

◆ 6 იანვარს ქუთ. საკრებულო ბაზში გაიმართა „სინათლის" სკოლის სარგებლოთ საღამო საღამოში მონ ლეობა მიიღეს სახელგანთქმულმა ლონისტმა ვოლფ-იზრაელმა, პიან ზელიგერმა, მგოსანმა გრიშაშვილმა სხვ. წარმოადგინეს „კაკო ყაჩაღი" კებში. საღამოს აუარებელი ხალხი ესწრო და შემოსავალმაც 2000 მან. დააჭარბა. ნასიამოვნები ხალხი დ ოთხ საათზე დაიშალა.

ეგნატე ნინოშვილი,

(ლიტერატურული მოგონებანი*).

— საწყალი, საცოდავი ეგნატე!...

ამ სიტყვებით უნდა დავიწყო ჩემი მოგონებანი, რადგან ახლა ამ მოგონების წერის დროს თვალ-წინ მიდგია განხორციელებული ეგნატე...

ის ეგნატე, რომელიც უკანასკნელად ვნახე ზესტაფონის რკინის გზის სადგურზე ჩამომხმარი, ჩამომდნარი, გაყვითლებული, რაღაც ძონძებში გახვეული და სუსტი, ძლივს გაიგონებდით, ისეთი ხმით მოამბე. ის, მაშინ ტფილისიდან შინ გურიაში მიდიოდა.

სადგურზე მივესალმე.

— ეგნატეს გაუმარჯოს, რასა იქ, როგორა ხარო მეთქი,—მაგრამ ჩვეულებრივი პასუხი მისგან ველარ მივიღე.

ძლივს, რაღაც შეწუხებულის ხმით და ძლიერ სუსტის ხმით მითხრა:

— ხომ ხედავ, ძმაო! ავად ვარ, დღემდის ვებრძოლე ცხოვრებას მეტი ველარ შევსძელ. შინ მივდივარ! ვგებ მეტი ველარც გნახო! მშვიდობით!"

მითხრა კვნესით და მალე გამომეშვიდობა..

მე კი დიდხანს ვიდექ და მის მომაკვდავ პირისახეს მივჩერებოდი, სანამ მატარებელი სადგურიდან დაიძრა და მატარებელი წავიდა. კიდევ დიდ ხანს არ მომშორებია ეგნატეს ფიქრი.

ბოლოს, გულში, ჩემთვის ცრემლებმორეულმა წავილუღლუღე:

საწყალი, საცოდავი ეგნატე, არ კი გათავებულა—მეთქი!

ეს იყო და ეს.. მას აქეთ ნათლით მოსილი მისი პირისახე აღარ მინახავს.. ტკბილი მოსაუბრე მისი ბაგენი აღარ დამელაპარაკებია...

იგი იმ დღეს, თურმე, საუკუნოდ გამომეშვიდობა...

აი, სწორედ, ეს სიტყვები გამახსენდა. დღესაც და ამ სიტყვებით ვიწყებ ჩემ მოგონებასაც.

მაგრამ სანამ ეგნატეზე რამეს ვიტყოდე საჭიროა მოკლეთ გიამბოთ შავი ქვის ვაჭრობის ისტორია, იმ დროს, როცა ეგნატე ზესტაფონში ცხოვრობდა, რადგან შავი ქვის წარმოებაზე იყო, ცოტათ თუ ბევრათ, დამოკიდებული ეგნატეს მაშინდელი კეთილ-დღეობაც.

ოთხმოციან წლებში შორაპნის მაზრის ერთ კუთხეში, განსაკუთრებით ჭიათურის მიდამოებში აღმოაჩინეს საუკეთესო ღირსების მარგანეცი (შავი ქვა), რომლის აღმოჩენამაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვოდა განსვენებულს, სულმნათს აკაკისაც.

თუმც წინედაც იყო აქა იქ, საჩხერის მიდამოებში ქვის მუშაობა, მაგრამ ოთხმოციან წლებიდან იწყება უფრო და უფრო განვითარებული და სერიოზული მუშაობა.

ეს, ერთ დროს, ღარიბი და მიყრუებული კუთხე, უცებ გამოიცვალა, გაიღვიძა და გაშალა ფრთები. შორს გავარდა შავი ქვის ამბავი. ბევრმა ვაჭარმა და სავაჭრო ფირმებმა სცქვიტეს ყურები და მოაშურეს ჭიათურას, ბევრს აეშალა სიმდიდრის [illegible] და შეუდგა მუშაობას...

შავი ქვის წარმოებამ ახალი ხანა დაბადა ჩვენში.

გარდა[illegible] ვაჭრებსათ გლეხები, აზნაურები, [illegible] და [illegible]ერი.

ვინ გინდოდა, რომ მითი არ სარგებლობდა, თან და თან არ მდიდრდებოდა?!

იმ დროს ჭიათურიდან დ. ზესტაფონამდის შავი ქვა ურმებით მოჰქონდათ.

გზა, ორმოცი ვერსის მანძილზე, გაუკეთებელი, მივიწყებული და ძნელი გასავალი იყო.

დ. ზესტაფონში არსებობდა მრავალი კანტორა, აქვე ცხოვრობდენ კანტორების მართველები, ბევრი მყიდველ-გამყიდველიც და სხვანი.

ხალხით გაჭედილი იყო ქუჩები, სახლები და საწყობები...

რაც დრო მიდიოდა, შავი ქვის მრეწველობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა, რთულდებოდა და სახელს ითქვამდა...

შავი ქვის საქმის ამ გვარმა განვითარებამ საზღვარ გარეთელებიც მოიტყუა და ერთ დროს დ. ზესტაფონში თითქმის ყველა სჯულის, ეროვნების და ქვეყნის წარმომადგენელს ნახავდით.

ყველა ერთის აზრით, ერთის მიზნით იყო გამსჭვალული: შავი ქვის საქმე აწარმოვოს და მით გამდიდრდეს.

ეს, მარტო ეს ასულდგმულებდა და ართობდა ყველას და ყველგან...

გამდიდრების ამ გვარმა სურვილმა აიძულა ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტიც და თითქმის ძალით ჩააბა ვაჭრულ საქმეში.

ხელი მოჰკიდა შავი ქვის საქმეს დამსახურებულმა პროფესორმა სერებრიაკოვმა.

დიდის დაფიქრებით და მოსაზრებით ჩაება საქმეში პატივცემული გ. ქართველიშვილი.

ნაფიცი ვექილი გ. ლოლობერიძე და შემდეგ მისი ძმა-განსვენებული ნიკოლოზ ლოლობერიძეც ნ. ლოლობერიძემ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს სწორეთ იმ დროს, როცა ქვის დიდი მოთხოვნილება იყო და დ. ზესტაფონში ურმებით, ცხენებით, ვირებით და აქლემებით ეზიდებოდენ...

დიდ ძალი ქვა გადმოდიოდა დ. ზესტაფონში, დიდ ძალი ხალხი ესია შავ ქვას და აწარმოებდა. აწარმოებდა, მაგრამ ყველა თავისებურათ, შინაურულათ, ჩვენებურათ რომ იტყვიან. თითქმის არავინ, წესიერ კომერციულ მოთხოვნილების თანახმათ, იმ დროს, ქვას არ მუშაობდა.

ყველა ერთმანეთს ჰპარავდა, წონაში ატყუებდა. ღამ-ღამე ერთმანეთის საწყობიდან ჰპარავდენ და მეორეში გადაჰქონდათ. ერთის შრომით მეორე მდიდრდებოდა და სხვანი...

ამ დროს მწარმოებლებში იყვნენ ისეთნი პირნიც, რომლებიც თვითონვე აქეზებდენ ამ გვარ სამოქმედოთ თავიანთ ხელ ქვეით მოსამსახურეებს: კანტორების მმართველებს, მწონელებს და სხვებს; მაგრამ მათ რიცხვში, თუმცა კი ცოტანი, მაგრამ იყვნენ მაინც ისეთიც, რომლებიც ამ გვარ ცარცვა-გლეჯას ჰგმობდენ და მის ძირიანათ ამოფხვრას ყოველის ღონის ძიებით ცდილობდენ...

ამ გვარ პირების რიცხვში პირველი იყო აწ განსვენებული ნ. ლოლობერიძე, განსვენებული ნიკო ლოლობერიძე დიდ ხანს ებრძოდა ამ ბოროტებას.

დიდი შრომა და საშუალება ახმარა ამ ბოროტების დასაგმობად-მოსასპობლათ, მაგრამ მაინც დიდ ხანს გასტანა მისმა ფარფაშმა ხალხში და დიდი ზარალიც მისცა განსაკუთრებით დაბეჩავებულს და უმეცარ ხალხს,—უბრალო მუშებს...

კარგათ მახსოვს მისი მაშინდელი კრებები.. ამ კრებებზე შავი ქვის იმ დროის მრეწველთა სჯა-ბაასი, მსჯელობა და შემდეგ გამოტანილი რეზოლიუციები...

— მაშ, რა ვქნათ? რა ეშველებ გვარ ქურდობას?!

იკითხა ერთხელ განსვენებულმ ლობერიძემ კრების თავჯდომარ დროს...

— რა ვქნათ და ყველამ ვიპარო მიუგო უცხო ქვეყნის ერთმა მრეწვე

ამ სიტყვებმა ზოგიერთ მრეწველ სიცილი გამოიწვია. ნიკ. ლოლობერ კი ძლიერ ეწყინა და ხმა მაღლა შე

— არასოდეს!! სთქვა და გულნ ლმა კრება დახურა...

ამის შემდეგ კრებები აღარ იმარ ბოდა... თითოეული მრეწველი თ ლონისძიებით ებრძოდა ამ ბოროტ ნიკომაც თავის საშუალებას მიმარ გამოიწვია ცნობილი ინტელიგენტ ზოგი პირადის ნაცნობობით და ზოგ სხვისი რჩევით და კანტორა მათ ჩაბა

სხვადასხვა დროს ნ. ლოლობერიძის კ ტორაში ირიცხებოდენ მოსამსახურ შემდეგნი პირნი: აწ განსვენებული პე რე უმიკაშვილი, ინჟინერი გ. დეკანოზ შვილი და ცოცხლები ალ. ჯაბადარი, კალანდაძე, თ. ესახოკია და მათ შორ განსვენებული ეგნატე ინგოროყვა (ლ ტერატურაში ცნობილი ე. ნინოშვილ

როგორც ყველა პატარა დაბებში, რ მლებიც რკინის გზის ახლოს მდებარე ბენ, ისე დ. ზესტაფონის სადგურზე მრავალი ხალხი იკრიბებოდა, განსაკ რებით მატარებლის მოსვლის დროს.

რკინის გზის სადგური ამ შემთხვევ საზოგადოებას „ბულვარის" მაგივ უწევდა. თუმც გზის მმართველ ყოველგვარი საშუალება იხმარა, რომ [illegible] მოგროვილი ხალხი სადგურ ქანზე არ გაეშვა, მაგრამ ვერც წინეთ ვერც ვგონებ დღესაც ვერ მოსპო. ხალ ხი დღესაც ბევრი იკრიბება სადგურ უმეტესად, რასაკვირველია, არა მგზ რები.

იმ დროს, რომელსაც ჩემი მოგონ ბა ეკუთვნის თითქმის ყველას ნახვა

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს არ მარტო იმისთვის რომ შემდეგში მნიშვნელობა ჰქონდეს ეგნატეს ბიოგრაფიისათვის, არამედ ვბეჭდავთ იმისთვისაც, რომ დავახასიათოთ ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა. რედ.

✦ აგერ ნახევარი წელიწადია ავსტრიის საზღვარზე უგზო უკვლოდ დაიკარგა ჯარის კაცი ვასილ მაჩიტაძე. მისი ნათესავები სთხოვენ მის ნაცნობებს, ვინც მასთან იმყოფებოდა მიაწოდონ მის შესახებ ცნობები, მისამართი: ბალახვანის ქუჩა გ. ხანთაძის სახლებში.

სოფლად.

ს. ვანის-ქედში (გურია) ამ დღეებში გახსნიან უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო წ. კ. გ საზ. ქუთაისის განყოფილებას სოფ. ნიკორწმინდაში (რაჭის მაზრა) გაიხსნას უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ მიწით მოქმედის სამმართველომ შვიდი თუმნით დააჯარიმა სოფ. ჭომის ერთი მცხოვრებთაგანი სახაზინო ტყის მოჭრისათვის.

✦ სოფ. აბაშაში ადგილობრივ აფთიაქის მოვაჭრე კანდელაკმა და გლეხმა მალაქია ქორჩილავამ მანტაშისტებისაგან წერილი მიიღეს. პირველს თხოვდენ 6000 მანეთს, მეორეს 200 მ. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს სიკვდილით ემუქრებიან.

✦ ამასწინად დაბა ზუგდიდში გაუძარცვავს ადგილობრივი ვაჭარი ჯიშკარიანი, რომელსაც წაართვეს 89 მ. და ვერცხლის ქამარი.

✦ დ. სურამში იქითა კვირაში დაარსდა ქალთა საზოგადოება და მოკლე ხანში აპირებენ კოოპ. დუქნის გახსნას.

გამოსადეგი ცნობა.

თაგვების გასაწყვეტი საშუალება.

ქუთაისის თითოეულ მოქალაქეს, ვიცი, კარგად გამოუცდია, რამდენად შემაწუხებელია თაგვი ოჯახისათვის. მისგან დასუნული და მოსლოკული აღარა იქნება—რა და მისგან დაუხვრელი და გაუფუჭებელი აღარა რჩება-რა.

ამას კიდევ ისიც უნდა დავუმატოთ რომ რწყილების შუამავლობით ის ათასგვარ სენსა ჰყრის კაცს. და დღეს საეჭვო აღარ არის მაგალითად რომ შავ ჭირს უმთავრესად ამ სენისაგან დახოცილი თაგვების რწყილები ავრცელებენ.

მეორე მხრით დამტკიცებულია რომ ომიანობის დროს ადვილად ვრცელდება სხვადასხვა მოარული მაგალითად შავი სახადი, მუცლის სახადი, ხოლერა, შავი ჭირი და სხ. და ამიტომ ყოველი მოსალოდნელი შემთხვევისათვის სიფრთხილე და თადარიგი გვმართებს.

რით ვუშველოთ თავს?

ხოლერასთან და ტიფთან (მუცლის სახადთან) ბრძოლის საშუალება უკვე გამოვცადეთ და ვიცით, რომ ამისთვის საკმაო გადაუდუღებელი წყალი არა ვსვათ და ამავე წყალში გაურეცხელი და გაუფურცქნელი არა ვსჭამოთ-რა.

შავი სახადი ჩნდება საცვლების ტილებისაგან და მაშასადამე საუკეთესო სათადარიგო საშუალება მის წინააღმდეგ—სისუფთავეა: ხშირად უნდა ვიბანოთ ტანი და გამოვიცვალოთ საცვლები.

რით და მოვიშოროთ თავიდან თაგვები? ბევრი სათადარიგო საშუალებაა მოგონილი მის წინააღმდეგაც: იატაკის, შკაფების, სკივრების, ბელლებისა და სხ. შეკეთება იმგვარად, რომ თაგვმა ხვრელი ვერსად იპოოს, თაგვების მოწამვლა თაგვის მარილით, ფოსფორით, გიპსითა და სხ., თაგვის ორმოები, ხაფანგები, კატები, ძაღლები და სხ.

მაგრამ როგორც მე გამოვცადე, ყველა ჩამოთვლილ საშუალებას ევრეთწოდებული „მურინი" სჯობია, რომელიც სხვათა შორის ჩვენი ქალაქის აფთიაქშიაც იყიდება. „მურინი" თაგვის სახადის სათესლეს წარმოადგენს, რომელიც ერთგვარ პურპელში ინახება: ჩაასხით პურპელში უმი კვერცხი, გათქვიფეთ შიგ ანჯღრევით და რამდენსამე ხანს თფილ ადგილას შეიგახეთ. შემდეგ დაასხით დაბეშული პურის ნატეხებს და დაალაგეთ სადაც საჭიროა. დაწვრილებითი დარიგება ხმარების შესახებ თან ახლავს პურპელს.

შარშან ზაფხულს ვსცადე ეს საშუალება და მას აქეთ ჩემ სახლში თაგვი აღარ მინახავს. ზაფხულშივე სახლის პატრონმა ძველი სამზარეულო დაანგრია და სხვადასხვა ალაგას აყარებელი მკვდარი თაგვი აღმოჩნდა, ცოცხალი კი აღარც ერთი აღარსად აღარა ჩანდა. და ამ ფაქტმა დამარწმუნა რომ თაგვისგასაწყვეტ საშუალებათა შორის „მურინი" საუკეთესოა. მოვუწოდებ ქუთაისის მოქალაქეთ შეიძინონ ეს საშუალება და გამოსცადონ. და თუ ვინიცობაა დაძველებულია, და კარგად აღარ მოქმედობს, აცნობონ ქალაქის აფთიაქს რომ ახალი გამოიწეროს.

ნუ დავუცდით საშინელი მოარულის მოსვლას და სჯობს ახლავე შევუდგეთ თაგვების გაწყვეტის საქმეს, თვარა როდესაც ჭირი კარზე მოგვადგება, გვიანღა იქნება: შეიძლება რამდენიც დაგვჭირდება ვეღარც „მურინი" ვიშოვოთ და კიდევაც რომ ვიშოვოთ, შავი ჭირით დასნეულებული თაგვების დახოცვა თუმცა რასაკვირველია ამ მოარულის შესუსტებას ხელს შეუწყობს მაგრამ მათი რწყილების მსხვერპლი მაინც კიდევ ბევრი შეიქნება.

განვიმეორებ: სჯობს ახლავე დავიჭიროთ თადარიგი.

ექიმი ვასილ წერეთელი.

შუაღამისას.

შუაღამეა... შემზარავ ღამის წყვდიადი ნელა მიიპარება,
მარტო ვარ, ობლად, ჩემს ბნელს ოთახში და თვალებს რული არ ეკარება.
ღმუის, ზუზუნებს, სისინებს ქარი, მესმის ვით არხევს გაძარცულ ხეებს,
ფიქრთა შავ ნისლით გარემოცული, სევდით ვიგონებ ყოფნის ძველ დღეებს!..

——

ოჰ, მაგონდება ის დრო, ის ჟამი, როს არ ვიცოდი რა იყო სევდა,
როს უდარდელი ვიყავ ვით ბავშვი და სიხალისე მარად თან მდევდა.
მთელი ხილული დიდი საწუთრო ციურ სამოთხედ მეჩვენებოდა,
სადაც ყოველი არსი სულდგმული მხოლოდ ხარობდა, შვებით სტკბებოდა...
მაგრამ გავიდენ რო, დღეები, დღენი, მკაცრმა ცხოვრებამ ჩამკიდა ხელი,
გადამისროლა თვის ღელვილ ზღვაში შემასვა მწარე შხამი—ნაღველი.
მაშინ გავეცან, ყრმა, თვით ცხოვრებას, გავიცან არსთა ყოფნის მიზანი,
მივხვდი სიცოცხლის სასტიკ შინაარსს, შემზარდა ფლიდი ადამიანი..
მეც მყავდა სატრფო, სულის მზე-ღმერთი, ვისაც სამუდმოდ ვუძღვენი გრძნობა,
ზენა არს მოწმე, რა რიგ სპეტაკი და წრფელი იყო მისდამი ტრფობა.
მაგრომ, ვერ მიხვდა ის ჩემს გულის თქმას, გაჰყვა დრო-ჟამთა ცვალებადობას,
იცვალა ფერი და სულ სხვა სახე, და სულ სხვა სახე მისცა მან ტრფობას;
ფეხით გასთელა, დაჰკმო მან ფიცი, უარჰყო თვისი სიტყვები წმინდა,
და ეჭვის ქარით მონაბერ ნისლმა თვალთა ნაპრალი წამს შეუბინდა...
მე მეგობრებიც მყავდენ, ოჰ, მახსოვს, ვუყვარდი იმათ, მიყვარდა მეცა,
და მწამდა მტკიცედ ეს სიყვარული, რომ წმინდა იყო ვით მზე, ვით ზეცა;
მაგრამ მოვსტყუვდი... განვლო დრო-ჟამმა და სინამდვილემ გადიძრო ფარდა
და რა ვიხილე: ეს მეგობრობა არრა ყოფილა სიფლიდის გარდა...
მას შემდეგ ტანჯულ გულის სიღრმეში მეფობს და მეფობს სევდის სახმილი,
სევდაა ობოლ სულის მზე-სატრფო, თვით მე კი ტანჯვა—კაეშნის შვილი...
მე დღეს მარტო ვარ ცხოვრების ველზე, არავისი მაქვს, ჰაზრს, აწ ნდობა,
გულ აცრუებულს აღარ მწამს, არა, თვით სიყვარული და მეგობრობა.
მაგრამ მე მაინც წინ, წინ ვისწრაფვი, იმედით ვივსებ არსებას და გულს,
აღთქმის ქვეყნისკენ ვისწრაფვი სულით და ნაღვლიანად ვაჟღერებ ჩანგურს.
მწამს, რომ მრავალი გავლენ აწ დრონი, ძველ წელს კვლავ შესცვლის ახალი
წელი,
ფერს იცვლის აწმყო, აწმყო—ტანჯვის ზღვა, აწმყო სასტიკი, მწარ ცრემლთა
მგვრელი..
დაე, ცხოვრებამ გამიასკეცოს წყლულ—იარები ბედითად მავალს,
მე მაინც სულ წინ, ისევ წინ გავსწევ, რომ შევეგებო ნათელ მომავალს...
მაშ, ჩემო კარგო, ჩანგურო ჩემო, არ მიღალატო ცხოვრების გზაზე,
მე სიმებს დავკრავ, შენ კი, სიცოცხლევ, იჟღერე გრძნობით ჩვენს გულის
თქმაზე!..

——

დაჩუმდა ქარი... აღარ ზუზუნებს... ღამის წყვდიადი ფერს ჰკარგავს, ჰქრება,
აჰა, თენდება, მაგრამ ჯერ კიდევ ჩემს თვალებს რული არ ეკარება!..

მ. ანაშვილი.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

გაზ. „სამშობლოს" ხელის მომწერთ ვსთხოვთ 1916 წ. გაზეთის დასაქვეთი ფული დროით გამოგზავნონ. ადგილობრივ ხელის მომწერთაგან ფული წარმოდგენილი უნდა იქნეს პირდაპირ კონტორაში, სადაც მიიღებენ სათანადო კვიტანციას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა პასუხს არ აგებს.

წერილი მეგობართან.

(იხილე „სამშობლო" № 256.)

II.

პირველად ვილაპარაკოთ სამღვდელოების სწავლა, განათლების შესახებ. ამ მხრივ იგი მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ უმთავრესი მიზეზი მისი დაცემისა სწორეთ ამაში მდგომარეობს, რადგან განათლების დაბალ საფეხურზე მყოფ სამღვდელოებას თავის დაცვისა და გასწორებისათვის ძალა არ შესწევს. მართალია, ბევრს ჩვენს თანა[illegible] საწყენათ დარჩებათ ეს, მაგრამ თვა-

ძლებოდა სადგურზე. ეს იყო მაშინ ჩვენი სალაყბო ადგილი, აქ ვუზიარებდით ერთმანეთს ფიქრებს, აზრებს, შთაბეჭდილებებს და უმეტეს ნაწილად აქვე ვეცნობებოდით ერთმანეთს.

ერთს ამგვარ საღამოს, როდესაც სადგური სავსე იყო ხალხით და მატარებლის მოსვლას ველოდით, არ მახსოვს კარგად რომელ წელში იყო, ი. კაკაბაძემ (ის მაშინ ბ. პ. მოსეშვილის კანტორას მართავდა). შემოიყვანა ბუფეტში ერთი ჩვენთვის უცხო პირი. შუა ტანის, ბობრი, გრძელი პირისახის ყმაწვილი კაცი. ჯერ თვითონ მოგვესალმა და მერე ეს ყმაწვილი გამაცნო,

ერთმანეთს, ჩვეულებისამებრ, ხელი ჩამოვართვით და დავსხედით.

პატარა ხანს სიჩუმემ ჩამოიარა. ყველა გაჩუმდით...

ამ დროს ვინ, რას ფიქრობდა, არ ვიცი!

მე კი ამ ახალ-გაცნობილ—ყმაწვილ კაცს ვათვალიერებდი და „ნეტავ რა კაცია, რა საბრალო, საწყალი კაცის სახე აქვს მეთქი"—ჩემთვის ვფიქრობდი.

ამ დროს მატარებელიც მოგვადგა კარს. ყველა გარეთ—ბაქანზე გამოვედით. მატარებლით მოსული ხალხი გადავათვალიერეთ, მაგრამ ნაცნობი ცოტანი აღმოჩნდენ.

აქ, სხვები რომ დაგვშორდენ, მოვიდა ჩემთან ახალ-გაცნობილი აწ განსვენებული ეგნატე და კრძალვით—დიდის მორიდებით მითხრა:

— მე დიდათ მესიამოვნა თქვენი გაცნობა.

— მეც! ზრდილობიანათ ვუპასუხე, თუმცა არ ვიცოდი, რა კაცი იყო.

— თქვენთან გაცნობა, ერთი რომ მით სასიამოვნოა ჩემთვის, რომ მეც სახალხო მასწავლებელი ვარ ხელობით, თუმცა კი ყოფილი, მაგრამ საერთო ამ ასპარეზზე მაინც ბევრია ჩვენ შორის,..

მაშინ მეც სახალხო მასწავლებელი ვიყავი.

მეორე—თქვენი ნაწერები წამიკითხავს და ამ დარგშიაც, ვგონებ, მეგობრები ვიქნებით მე და თქვენ.

— ძლიერ სასიამოვნო იქნება ჩემთვისაც მაგგვარი მეგობრობა!

გთხოვთ მობრძანდეთ ხოლმე ჩემთან,—ბინა აქაურ შკოლაში მაქვს და რასაც ღმერთი მოგვცემს, მით ვისიამოვნოთ...

ვუთხარი, ხელი ჩამოვართვით ისევ ერთმანეთს, გამოვემშვიდობეთ და ჩვენ ჩვენს ბინაზე წავედ-წამოვედით...

ეს იყო პირველი ჩემი გაცნობა ეგნატე ნინოშვილთან.

ამ დღიდგან იწყება ჩემი მოგონებაც. რა იყო, ან ვინ იყო ეგნატე სიყმაწვილეში, ან და იმ დღემდის, მე არ ვიცი და არც შეადგენს ეს ჩემი მოგონების საგანს.

ამას სხვებიც გვეტყვიან

მე მხოლოდ მსურს გიამბოთ იმ დღიდგან ჩვენი ლიტერატურული მეგობრობის ამბავი, ჩვენი საერთო შრომა და მოღვაწეობა დ. ზესტაფონში.

პირველ გაცნობის შემდეგ ერთმანეთის ხშირი სტუმრები ვიყავით.

ხან მე დავდიოდი ეგნატესთან, „ნიკო ლოლაზერიძის კანტორაში, რომელიც მაშინ ს. საყვარელიძის სახლებში იყო მოთავსებული, სადგურის ქვევით, დ. ზესტაფონის ასეთ წოდებულ „საყვირის" ნაწილში და ხან ის ჩემთან—ნორმალურ სკოლის შენობაში...

ჩვენთან ხშირად იკრიბებოდენ სხვებიც, ზესტაფონის მაშინდელი ახალგაზდობა და თეატრზე, ლიტერატურაზე და სხვებზე ვმსჯელობდით, ვბაასობდით, ვსწერდით და ვაკეთებდით...

მე და ეგნატემ, ახლა კიდევ უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი.

აღარ ვერიდებოდით. ხშირად შინაური საქმეებიც იყო ხოლმე ჩვენი ბაას—მუსაიფის საგნად.

მიზეზიც ეს იყო, რომ ერთ საღამოს, ჩემს ოჯახში, როცა მოგვწყინდა სხვა საგნებაზე მუსაიფი, რაღაც სიტყვამ მოიტანა და ვკითხე.

— ეგნატე წინად სად მსახურებდით?.

გაიცინა, მერე ღიმილითვე გადმომხედა და მითხრა:

— ჰმ! წინად? წინად—მწერლად, სოფლის მწერლად ვიყავ"..

მითხრა და კიდევ გაეცინა.

— მართლა?. კიდევ ვკითხე და მეც გამეცინა.

— დიაღ, მართლა. მწერლად ვიყავი, მაშ რა უნდა მექნა?. იყო ისეთი გარემოება, რომ უსათუოდ ასე უნდა მოვქცეულიყავი. მესმის შენი გაკვირვება მაგრამ... შეჩერდა...

რა უნდა მექნა?!

არაფერი არ გამოჩნდა... სხვაგან წასვლის ღონის ძიება არ მქონდა. ცოტა გროშების შეგროვება მინდოდა და ამით საზღვარ გარეთ ვაპირებდი წასვლას..

— სად?

საზღვარ გარედ, საფრანგეთში, შვეიცარიაში ან სხვაგან.

— მიზანი?.

— მიზანი კეთილ-შობილური და აზრიანი მქონდა, მაგრამ ვაი რომ ვერ მივაღწიე.

— მაინც?!

— სწავლა განვითარება განათლება. სწავლის მიღება მწყუროდა..

— მერე რა ჰქენი?.

— შევაგროვე რვა თუმანი, ვიშოვნე მოწმობა და გავემგზავრე საფრანგეთისაკენ.

წაველი იმ აზრით და რწმენით, რომ იქ სამსახურს ვიშოვნიდი, როგორც უნდა ყოფილიყო იგი არ ვითაკილებდი. და მასთან თვითგანვითარებას, სწავლას გულმოდგინეთ მოვკიდებდი ხელს, მაგრამ..

— მაგრამ რა?

— მაგრამ ძლიერ მოვსტყუვდი.. ჩასვლით კი ჩაველი საფრანგეთში, მაგრამ იქ კი მთელი ჯოჯოხეთის დაბრკოლების მაღალი კედლები აღმემართენ წინ გზა გადამიღობეს და ღამის იყო სრულიად მოსპობას მიპირებდენ, რომ თავს ვუშველე დ მოვკურცხლე ისევ შინისაკენ...

იქ მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა შემიგროვეს ფული და გამომიშვეს, თან მთხოვეს ყველასათვის მერჩია, ჩემისთანა ცოდნისა და ქონების პირი აქეთკენ არ წამოსულიყო.

— აკურთხოს ღმერთმა მათი დედ-მამა! რომ ისინი არ გამჩენოდენ შიმშილი მომკლავდა?!

ჩემი ცოდნა, ძალა, ენერგია ვერაფერს ვერ შევუფარდე. ვერაფრად ვერ მ ვიხმარე. ყველგან ჩემზე უკეთესები განათლებით, ცოდნით, ძალ-ღონით და მოხერხებით დამიდგენ წინ და მომისპეს არსებობის ღონის ძიება.

იძულებული მიველი, რომ გაზეთის გამყიდველის ადგილიც ვერ ვიშოვნე.

მაშინ კი გადავსწყვიტე ისევ შინისაკენ წამოვსულიყავ და მოვიდი კიდეც.

— მერე? მერე რა ჰქენი?.

— მერე, რა ვქენი და ისევ მასწავლებლობას მოვკიდე ხელი. ვიშოვნე გურიაში ერთი 25 მანეთიანი ადგილი და შევუდექი ახალთაობის აღზრდა-განათლებას, მაგრამ ჩემი დამწვარი ბედი აქაც თურმე მიმზადებდა ძირ მწარეს შხამით შეზავებულ საზრდოს!..

ხანგრძლივი აქაც არ იყო ჩემი მოღვაწეობა.

ჩემს გარშემო ბოროტების პარპაშს და ბატონობას გვერდი ვერ აუარე..

ჩემმა გრძნობიერმა გულმა კარი გაუღო გაჭირვებულთა წუხილ-ვარამს, უსამართლობის უღლის ქვეშ ხალხის კვნესა ტანჯვებს შეერთა მან თავისი საკუთარი ტკივილებიც, შეაზავა თავის სიღრმეში, მოამწიფა და მოამზადა იგი გასაკვეთად, ჩირქის გამოსანთხევად, მაგრამ ამის სისრულეში მოყვანას დრო, ალაგი და საშუალებაც უნდოდა....

მე, ამის საშუალებათ პატარა ფოლადის კალამი ავირჩიე...

შევიარაღდი ამით და ჩემი კალმის წვერით გავკვეთე ეს დაჩირქებული, დიდის ხნით დამწიფებული, ხალხის იარები, შემდეგ გაკვეთილ იარებიდან წამოსული დაკვეთილი ჩირქი, კალმის ღარში გავატარე და შავი მელნის სახით ადგილობრივ გაზეთების ფურცლებზე გადავანთხიე....

არ იამა ეს ზოგიერთებს...

არ იამათ განსაკუთრებით დიდ ბობოლებს.

შეიარაღდენ მწვავ მეძებრით და შეუდგენ „შინაური მტრის"—წერილების ავტორის ძებნას.

თუმცა კი პირდაპირ ვერ მომაგნეს, მაგრამ ეჭვი მაინც ჩემზე შემოიტანეს და ასე თუ ისე იძულებული გამხადეს, სოფლისათვის ფეხი დამეკრა და ისევ სხვაგან მეძია ლუკმა პური.

ახლა ვაჭრობაში ჩავდექი!.. ვნახოთ რა დამემართება?!

მაგრამ აქ კი, რას ვამბობ?!

განა არ ვიცი, რა მომივა?! რას მიმზადებს ჩემი დამწვარი ბედი?!

ალბათ აქაც იგივე მწუხარება, წვალება და სიმწარე გამიმასპინძლდება, რომელიც დაბადების დროს თან დამყვა, მუდამ გულში დამიდევს და ნელ-ნელა ღრღნის ჩემს არსებას, სუსტს გულს და გრძნობიერებას...

სთქვა ეს და უცებ სახე შეეცვალა..

მხიარულ სახის მაგიერ ნაღვლით სავსე სახის გამომეტყველება მიიღო.

ცოტა ხანს ჩვენც გავჩუმდით..

ყველა ამ მძიმე შთაბეჭდილებამ შეიპყრო.

ბოლოს თვითონვე დაარღვია ეს სიჩუმე.

— ვგონებ შეგაწუხეთ!.. აგერ, შუაღამეც გადასულა. გთხოვთ მაპატიოთ!

სთქვა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ დიასახლისმა სუფრაზე მიიყვანა და კიდევ კი ხანს გავერთვით ისევ ამ გვარ მსჯელობა-მუსაიფში.

ბოლოს, ცოტა უფრო გამხიარულებული, გამოგვემშვიდობა, მადლობა გვითხრა და წავიდა...

თედო. ხუსკივაძე.

ლებს ვერ ავიხდევთ და აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ ამ დროის და თავის მოვალეობის შესაფერ სწავლა—განათლებას, ახლანდელი სამღვდელოება მოკლებულია. და ამის თქმა არც არავისთვის საწყენი უნდა იყოს, რადგან ყველანი უნდა ვცდილობდეთ, რომ, შემდეგისათვის მაინც, საქმე კარგად დარჩეს დაყენებული; წინააღმდეგ შემთხვევაში, სამღვდელოების მომავალში უარესი დღე დაადგება. ერთი სიტყვით, მას სათანადო განათლება არა აქვს მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მეტად საჭიროა, რომ მღვდელი სწავლით მაღლა იდგეს თავისს სამწყსოზე. ჩვენი სამღვდელოების ერთი ნაწილი თითქმის სრულიად გაუნათლებელია, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ხუცურის კითხვას და ლოცვების შესრულებას, რაც დღეს, რასაკვირველია, საკმაო არ არის; ხოლო მეორე ნაწილს კი, თუმცა მიღებული აქვს სწავლა, მაგრამ დამახინჯებული და ამ დროის შეუსაბამო. ახლანდელი სწავლა-განათლების და მეცნიერებისა მას არა მოცემია რა. მაგრამ რაც უსწავლია პრაქტიკულად, ცხოვრებაში ისიც გამოუსადეგარია: ჩვენ ვემსახურებით ქართველ ხალხს და რუსულად კი ვემზადებით. სემინარიას ვათავებთ ისე, რომ ქართულად სამღვთო წერილი არ ვიცით და საჭიროა კია, რომ პირველ ყოვლისა ეს ვიცოდეთ და მერე სხვა. ამ მხრით გაცილებით წინ იდგნენ მონასტრებში აღზრდილნი მღვდლები, რომელთაც მეტად ზედ-მიწევნით ჰქონდათ შესწავლილი სამღვთო წერილი. მაგრამ, ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენა ის არის, რომ ახლა აღარც ძველებურ აღზრდას და არც ახლანდელს აღარ მოითხოვენ სამღვდელო პირთაგან. საკმაო ფორმალურად მზადება ორ—სამ თვეს მღვდლობის ხარისხის მისაღებად. ამისათვის, ხშირია მაგალითი, რომ გუშინდელი ხარაზი ან მეჯინიბე, დღეს ანაფორაში დაიარება და ხალხის სულიერ აღმზრდელათ გამოდის. და ამის შემდეგ, განა შეიძლება მოეთხოვოს სამღვდელოებას, რომ იგი გონებრივათ და ზნეობრივათ მაღალ საფეხურზე იდგეს? ამიტომაცაა, რომ ყველამ გაუწრო სამღვდელოებას და ის ილაჯ გაწყვეტილი უკან მიჩანჩალებს. და მერე ვინ არის ამაში დამნაშავე? განა შეძლება აქ მარტო დაბალი სამღვდელოების ბრალდებულად დასახვა? სრულიადაც არა! ადვილად მისახვედრია, თუ ვინც სტყუა ამაში. ახლა ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ მოწოდებით განწესება მღვდლობის ადგილზე მეტათ იშვიათი მოვლენა შეიქნა. აბა მითხარი, შენ გამარჯვებას, რამდენი იქნება ჩვენში ისეთი მღვდელი, რომელსაც მოწოდებით აქვს მიღებული მღვდლობის ხარისხი. განა, სამღვდელოების 99 პროცენტი დღეს ისეთები არ არიან, რომელნიც რჩენისათვის არიან ამ სამსახურში? არსებობს სასულიერო პირთა მოსამზადებელი სასწავლებელი და აქ თუ უსწავლია სამღვდელო პირს, მოწოდებას ვინლა კითხულობს! არც სამღვდელო პირი ფიქრობს ამაზე; ის დაბადებიდანვე განუმზადებიათ მღვდლათ.

მაგრამ, ნუ თუ გგონია, ჩემო კარგო მეგობარო, რომ სხვანაირად არ შეიძლება სწავლა-განათლების საქმის მოწყობა, რომ სამღვდელო პირს მოწოდებაც ექმნეს და ხალისიც? როგორ არა, ამის საშუალება არის, მაგრამ ჩვენ ხელთ კი არ არის. მხოლოდ უნდა ვცდილობდეთ, რომ მოვიპოვოთ. ამგვარი აღზრდის ნაყოფი აშკარად სჩანს: ერთი აქეთ მიექანება, მეორე იქით, ერთი ალთას სცემს, მეორე ბალთას და ამის გამო საშინელი არევდარევაა გამეფებული სამღვდელოების ცხოვრებაში.

თავისი მოქმედების და მიმართულობის სხვა-და-სხვაობით დაბალი სამღვდელოება ოთხ ჯგუფად განიყოფება. პირველ ჯგუფს შეადგენენ ის მღვდლები, რომელთაც თავისი „მე" დაუსახავთ კერპათ და ამის იქით არაფერი არა სწამთ; ესენი განუსაზღვრელი, უკიდურესი თავმოყვარეობით არიან გატაცებული და ამ სენით ისე არიან შეპყრობილი, რომ ყოველივე საშუალებას ხმარობენ, არავითარ პრონტიბას არ ერიდებიან, ოღონდაც თავისი გაიტანონ. ესენი არიან ძველი ფარისევლების და მწიგნობრების მზგავსი ხალხი, დაბრმავებული [illegible] და პატივის მოყვარეობის სურვილით.

სადაც საჭიროა არიან და არ არიან, ყველგან ეჩრებიან; გაბედულობა, მლიქვნელობა, პირფერობა, ჯაშუშობა და სხვა ამისთანა თვისებები ამკობენ მათ. უყვარსთ ბატონობა და სხვებისაგან ქება-დიდება. თავისს მოქმედებასა და სიტყვაში არასოდეს გულწრფელნი არ არიან, ხალხს კი ანგელოზებათ ეჩვენებიან და ამით თავიანთ პირადული ინტერესების განხორციელებას მიესწრაფვიან.

კარგი შემოსავლიანი ადგილის ხელში ჩაგდება და ჯილდოები, მოსვენებას არ აძლევს მათ, თუ კი როგორმე მოახერხეს ჯოჯოხეთურ ძალასაც კი აამოძრავებენ, ოღონდაც კი მიზანს მიაღწიონ. ახლანდელი დამახინჯებული ცხოვრების პირობებიც კი ხელს უწყობს მათ, ყველა მათ ჰყავს მომხრობილი და ყველაფერი იმათ სასარგებლოთ არის მოწყობილი. მაგრამ განა ეს არის მოწოდებით მღვდლის სამსახური? კარგი ადგილი და ჯილდოები, ამ გვარი მოქმედებით მიღებული, რასაკვირველია, არ შეესაბამებიან მოწოდებას.

ამ მიმართულების წყალობით ბევრი უსამართლობა ხდება დაცლილ ადგილზე განწესების დროს და ამისათვის, ჩემო მეგობარო, წარმოიდგინე ჩემი აღტაცება, როცა გავიგონე, თუ მართალია, რომ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, ყოფილმა ეგზარხოსმა და აწ უკვე პეტროგრადის მიტროპოლიტმა პიტირიმმა, კეთილინება ქართლ-კახეთის ეპარქიაში კომისიის დაწესება, რომელიც უნდა განაგებდეს სამღვდელო პირების ადგილებზე განწესების საქმეს, და რომელიც უნდა შესდგებოდეს, ერთ-ერთ მღვდელმთავრის თავმჯდომარეობით, ოთხი საპატიო დამსახურებული და სანდო პირისაგან.

- ამის გაგონებაზე, ჭეშმარიტად, სიხარულით აღმევსო გული. მათ მეუფებას, როგორც სჩანს, კარგად უგრძვნია უვარგისობა არსებული წესებითა სამღვდელო ადგილებზე განწესებისა. თუ ასეა, აქ აღარც მღვდელთ-მთავარი იქნება საყვედურში და არც იმდენ აურზაურს და უსიამოვნებას ექნება ადგილი, რამდენიც აწინდელი წესებით ხდება, ამიტომ რომ ამ წესებით სამართლიანათ საქმის დაბოლოვება უფრო უზრუნველყოფილი იქნება დაცლილ ადგილზე გადაყვანის დროს, ვიდრე ახლა ამასა ვხედავთ. სწორეთ, მოსალოცავი ამისთანა მოვლენა! აი, თუ არ შეიძლება ამა თუ იმ წესის უკეთესზე შეცვლა, უკეთუ ამას მოისურვებს უფლების მქონებელი! ქება და დიდება მის მაღალ ყ—დ უსამღვდელოესობას! აქვე უნდა ვსთქვა, რომ ჯილდოების მიღებაც ბევრი უწესოებით არის გარემოცული. ხშირად შევხვდები, რომ უღირსი მღვდელი ჯილდოს ატარებს, ხოლო ვინც მართლა ღირსია, იმას არა აქვს. ბევრი დაჯილდოებული მღვდელი განგოზილ საფლავს გავს, რომელიც გარედან შემკობილია, შიგნით კი ყოველივე სისაძაგლით არის სავსე; შინაგან სისპეტაკესა და სიფაქიზესაგან ისინი ძალიან შორს სდგანან.

შეიძლება გამოიძებნოს საშუალება, რომ გარეგანი დაჯილდოვება და ჩინორდენები სხვა რამეზე შეიცვალოს. ამაზედ შემდეგ, თუ მოგვიხერხდა, აქ ცოტა პირ-და-პირ სალაპარაკო საგანს გადავსცდით, მაგრამ შემთხვევამ ასე მოიტანა.

პირველი ჯგუფი შეძლებისადაგვარად ჩემისა დავახასიათე; ახლა გადავიდეთ მეორე ჯგუფზე. როგორია შემადგენლობა ამ ჯგუფისა? ეს ჯგუფი, წინააღმდეგ პირველისა, ესოდენს არ ხმაურობს, მშვიდობიანათ და წყნარათ ასრულებს თავისს მოვალეობას, თუ ბევრის გაკეთება არ შეუძლია, სცდილობს ცოტა მაინც გააკეთოს რამე თავისი სამწყსოს სასარგებლოთ.

მაგრამ რასაც აკეთებს, ისიც არ უფასდება და, მაინც-და მაინც, თვითონაც არა სცდილობს, რომ მისი შრომა გამოჩნდეს, რადგან სახელის მოპოვებით არ არის გატაცებული, როგორც პირველი ჯგუფის მღვდლები. ესენი მუდამ დაჩაგრული და დაბეჩავებული არიან: აქ იქ თუ ჰყავსთ ვინმე პატივის-მცემელნი, რომელთაც მათთან დაახლოვებისა გამო, შეგნებული აქვსთ მათი, ესე იგი, ამ მღვდლების უანგარობა და პატიოსანი მუშაკობა, პირველ ჯგუფის მღვდლებთან შედარებით, ესენი თავის ბედზე არიან დამყარებული, ღირსად სცნობენ თავის თავს თუ არა, მაინც არავის აწუხებენ, არც არავის დახმარებას სთხოვენ, არიან თავისთვის, ჩინ-ორდენები მათ მაინცადამაინც არ აინტერესებს და არც არავინ აძლევს; თუ ითხოვეს რამე და უარი უთხრეს დაქანცული ლოტინი არ იციან. ერთი სიტყვით, ესენი თავისს მოწოდებასთან ახლოს სდგანან. ამათში არიან ორიოდე ისეთებიც, რომელთაც თავისი „მე" სრულიად დავიწყებული აქვსთ, საზოგადო მოღვაწეობას ეწევიან და სარგებლობაც კარგი მოაქვთ.

მღვდ. პარმენ უიფშიძე

(შემდეგი იქნება).

გულახდილი წერილი გაზეთ „სამშობლოს" რედაქციის მიმართ*).

დიდათ პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი უბოძოთ „სამშობლოს" უახლოვესს ნომერში ქუთაისის პატივცემული საზოგადოების საყურადღებოთ.

თქვენის გაზეთის 252 ნომერში მოთავსებული იყო წერილი „პეტრიას" ფსევდონიმით, რომელიც ძალზე გადამლაშებული და გაზვიადებული კილოთი ეხება ჩემს პიროვნებას. თუ ბევრი არა, ცოტაოდენი ჩემიც უნდა მოისმინოთ და სამართლე მათქმევინოთ: სწორედ სრული 8 წელიწადია, რაც თვით მ. ბარათაშვილი უსამართლოთ მდევნის და მტრობს, პირიქით ჩემთან იმდენათ დამნაშავეა, რომ ენა მას ვერ ასწერს და ვერ გამოთქვამს, რისთვისაც ჩვენ ორთავე სასულიერო სამედიატორო სასამართლომ გაგვასამართლა 1911 წელში და სასულიერო პრესამ კიდეც სამართლიანად და პირუთვნელად დაგმო მ. ბარათაშვილის შეუფერებელი საქციელი (იხილეთ 1911 წლის გაზეთის „შინაური საქმეების" №№ 11, 13, 16, 17, 20 და 21). მას შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ჩვენი უსიამოვნო დამოკიდებულება ურთიერთ შორის და როგორც მოგეხსენებათ საზოგადოთ ჩვეულებური პირადი მტრობა და კინკლაობა, მ. ბარათაშვილმა ქვაზე რომ შემთხვევით ფეხი წამოკრას ან ცხვირი დაასცემინოს უსათუოდ მე დამაბრალებს, ერთი სიტყვით თუ რაიმე ცუდი და უსიამოვნო შეხვდა, ყოველივე დანაშაულს მაინც და მაინც მე მომახვევს თავზე. მ. ბარათაშვილი მოხერხებული და ბევრის მოლაპარაკე კაცია და შეცდომაში შეუყვანია, როგორც კორესპონდენტი „პეტრია", ისე პატივცემულ საზოგადოებაზედაც გავლენა იქონია და ცუდი აზრი შეადგინა ჩემზე. მე ხელთ მაქვს თვითონ მ. ბარათაშვილისგან ჩემი დამეზღების საბუთები, მაგრამ მათი გამომზეურება სხვა დროისთვის მაქვს გადადებული, მხოლოთ მაშინ კი დარწმუნდება პრესაც და საზოგადოებაც, თუ ვინ ყოფილა მაბეზღარი. რაც შეეხება იმას, რომ მ. ბარათაშვილი „პეტრიას" კალმით დაბეზღებას მწამებს, აი სწორეთ იმ საქმეს მომავალ დროში თვითონ ჩვენი მწყემსმთავარი იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი გაარჩევს და შემდეგ თუ პატივცემული საზოგადოებაც ჩაერევა ჩვენ საქმეში, ფრიად მოხარული დავშთები, მხოლოდ ისეთი ცალმხრივი და უსამართლო სამსჯავრო არსად არ მეგულება, რომ მარტო ერთ მხარეს მოუსმინოს და დაუჯეროს და მეორეს არა. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვ ქუთაისის საზოგადოებას ცოტახანს მოთმინება იქონიოს, სანამ მღვდელმთავარი იმ საქმეს გაარჩევდეს და შემდეგ კი ჩემი სიმართლე ყველასათვის თვალსაჩინო და ცხადზე უცხადესი იქნება და თვით ბატონი კორესპონდენტის „პეტრიას" წერილსაც არსებითად მაშინ გავცემ პასუხს, რომელიც „პეტრიაც" დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მაშინ ჩაიხედავს თავის გულში და პილატესებურად იტყვის ჩემზე: „ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყოვო".

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

---

*) ნათქვამია ცალ-ცალკე მოჩივარი ბატონს ორივე მართალი ეგონაო. რედაქციას არ შეუძლია არ ენდოს თავის კორესპონდენტებს, იმედია ბატონი კორესპონდენტები ეცდებიან შეცდომაში არ შეიყვანონ ხოლმე რედაქციები. რედ.

---

5 იანვარს დაიკარგა ძაღლი ინგლისური სეტერის ჯიშისა. ნიშნები: ბალანი გძელი და რუხი შავი წინწკლებით. მპოვნელს სთხოვენ მიიყვანოს ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგის ბინაზე დადიანის ქუჩაზე, ჩაჩანიძის სახ. (წულუკიძის ყოფილ სახლებში). მიმყვანს ჯილდო მიეცემა. 2—1

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул, д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инжинерная, д. № 9. Центральное справочое, бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობის მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს [illegible] სწორი ადრესი შემკითხველისა, სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც [illegible]

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძე.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 50
" — საღამ. — 6 ს. 57
ბათომიდან — დილით — 1 ს. 25
" — ღამის — 2 ს. 23
ფოთიდან — დილის — 10 ს. 8
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 39
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. 55
" — ღამის — 1 ს. 7
ბათომისაკენ — დილით — 5 ს. 30
" — დილის — 4 ს. 27
ფოთისკენ — დილით — 4 ს. 27
ტყიბულისკენ — დილის — 6 ს. 20
შორაპნისაკენ — დილით. — 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

საღი კუჭი
ჟელაბარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.
ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.
ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი **ჟელაბარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.
ჟელაბარი ექ. ვეზისა აჭარწყლებს კალაგვის მასსას, ასალებს ნაწლევებს, აშორებს [illegible] და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ქვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგანა.
ჟელაბარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფებისაგანაც კი.
პრეპარატ **ჟელაბარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებითი **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე გეგზავნება **უფასოთ.**
ნამდვილი **ჟელაბარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქ. ქუთაისში **ა. პ. შამირზაშვილის** საათფთიაქო მაღაზიაში.
ჟელაბარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კ.

წლიწ. 6 გამოიწერეთ 1916 წლისათვის წლიწ. 6
საკოოპერაციო, სამეცნიერო, საზოგადო საეკონომიო ჟურნალი
„კოოპერაცია"
„**კოოპერაცია**" უნდა გამოიწეროს ყველამ, ვისაც კი აინტერესებს საკოოპერაციო მოძრაობის ისტორია, თეორია და პრაქტიკა და ამ მოძრაობასთან დაკავშირებული საკითხები,—ხალხის ქვეყნის ეკონომიური და გონებრივი აღორძინება.
ჟურნალი გამოდის კოლეგიურ რედაქციით და ცნობილ ძალთა თანამშრომლობით. რედაქციას ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები რუსეთისა და საზღვარგარეთის ცენტრებში.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ: 1) ჟურნალ „კოოპერაციის" სახელმძღვანელო გამოცემის 24 №-ს (384—480 გვ.); 2) სახალხო გამოცემის 32 №-ს; 3) „საკოოპერაციო ბიბლიოთეკის" მეორე სერიას, რომელიც შესდგება გამოჩენილ კოოპერატორ—პროფესორის **შარლ ჟიდის რჩეულ ლექციებისაგან** (ახალ ხელის მომწერთ მეორე სერიის სამაგიეროთ შესაძლოა დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უკვე გამოსული პირველი სერიის 8 ბროშურა) და 4) „საკოოპერაციო კრებულის" 4 წიგნს (400 გვერ.), ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სპეციალურ წერილებით.
1916 წლის ხელის მომწერნი, რომელნიც წლიურ ფასს წარმოადგენენ 1915 წლის დამლევამდე, საჩუქრათ მიიღებენ ზ. ლენსკის წიგნს (ი. ე.—აიას მიერ თარგმნილს): **ევროპის „კოოპერატივებში".**
წლიური ფასი 5 მ. საკრედიტო, მომხმარებელ, [illegible] და სხვა კოოპერატივების წევრებს ფულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ.
რედაქცია მოთავსებულია თბილისის ქუჩაზე, ელ. წერეთლის სახლებში (3-მე სართულში). წერილისა და ფულის გასაგზავნი ადრესი:
Кутаисъ, редакція журнала „Кооперація".